სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/251

ქ. თბილისი 31 10 2018წ.

სტუ-ს 2018 წლის 26 ოქტომბრის №01-09-10/240 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 24 ოქტომბრის №45/ნ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. ნაწილობრივ შეიცვალოს „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებზეც სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო" სტუ-ს 2018 წლის 26 ოქტომბრის №01-09-10/240 ბრძანების პირველი პუნქტი და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო, ასევე აღნიშნულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობები:

- მშენებლობა – 475 ადგილი;
- ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია – 280 ადგილი;
- სამთო და გეოინჟინერია – 100 ადგილი;
- საინჟინრო გეოდეზია – 15 ადგილი;
- გეოლოგია – 30 ადგილი;
- საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა – 20 ადგილი;
- *გეოინფორმატიკა – 15 ადგილი;*
- ქიმია – 50 ადგილი;

- მასალათმცოდნეობა – 30 ადგილი;
- მეტალურგია – 25 ადგილი;
- მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია – 30 ადგილი;
- სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია – 30 ადგილი;
- არქიტექტურა – 124 ადგილი;
- მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი - 30 ადგილი;
- ბიოსამედიცინო ინჟინერია – 35 ადგილი;
- მათემატიკა – 43 ადგილი;
- საინჟინრო ფიზიკა – 98 ადგილი;
- აგრარული ტექნოლოგიები – 60 ადგილი;
- სასურსათო ტექნოლოგია – 146 ადგილი;
- სატყეო საქმე – 18 ადგილი;
- აგროინჟინერია – 8 ადგილი;
- მეცხოველეობა – 17 ადგილი;
- აგრონომია – 47 ადგილი;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია – 14 ადგილი;
- მევენახეობა და ენოლოგია – 60 ადგილი."

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

III. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

IV. ბრძანება ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი